ერ. ბაგრატიონის სახ. ბიბ.
საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

ბროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 26 დეკემბერი, 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 52 (211) ფასი 30 კაპ.

ვანდალები

ჯერ ჯერობით მანამდე, ვიდრე ფაშისტი ბარბაროსები მუხანათურად შემოიჭრებოდნენ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე, საბჭოთა მოქალაქისათვის ცნობილი იყო მათი ზოოლოგიური სიძულვილი საკაცობრიო კულტურისადმი, ცნობილი იყო მათ მიერ კულტურის შესანიშნავ ძეგლთა დაუნდობელი გადგურების უამრავი ფაქტი. წყვდიადით მოცული თავიანთი გზა ძალაუფლებისაკენ მათ გაინათეს ქუჩებში დანთებული კოცონებით, სადაც ისინი სწვავდნენ შესაფერი კლასიკოსთა — მეცნიერთა- და მწერალთა ამ გენიალურ ნაწერებს, რომელთაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ადამიანის განათლებას, გაკეთილშობილებას, ჰუმანიური აზრთა და გრძნობათა დანერგვას, კაცობრიობის საერთო წინსვლის საქმეს.

თავიანთი ველურობით მათ ცხადჰყვეს ყველასათვის, რომ ფაშიზმი და კულტურა პოლარულად დაპირისპირებული ცნებებია. ფაშიზმი ისევე ვერ ურიგდება კულტურას, როგორც სიბნელე სინათლეს. ფაშიზმს შეუძლიან იბატონოს და ბატონობა შეინარჩუნოს მხოლოდ იქ, სადაც ინტელექტუალური და ზნეობრივი წყვდიადი მეუფობს. ამიტომ არის, რომ ფაშიზმი დაუნდობლობს იჩენს ყველაფრისადმი, რაც ასხივოსნებს ადამიანის გონებას, რაც ადამიანში აღვივებს წინსვლისა და სრულყოფის დაუცხრომელ მისწრაფებას.

განსაკუთრებული ველური მოუთმენლობით ეპყრობა ფაშიზმი სლავურ კულტურას, რადგან სლავური მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერება, როგორც დიდი ნიჭისა და ძლიერი ინტელექტის გამოვლენება, წარმოადგენენ იმ უგუნური და უჭკო ფაშისტური დებულების ცოცხალ მხილებას და გაბათილებას, რომელიც „ამტკიცებს“ სლავ ხალხთა და მათ მიერ შექმნილ კულტურულ ღირებულებათა არასრულ ფაროვნებას.

ამ სულელური „იდეით“ დაავადებული ფაშისტი დამპყრობელნი ფეხქვეშ სთელავენ და ამსვრევენ რუსული კულტურის უდიერს მოღვაწეთა ძეგლებს, სახლებს, მუზეუმებს, წიგნსაცავებს, ყველაფერს, რაც ამ ადამიანთა დიადი შემოქმედების ნიშანს ატარებს, რაც მათ ბრწყინვალე ხსოვნასთან არის დაკავშირებული და მთელი პროგრესული კაცობრიობის მიერ წმინდათა-წმინდად მიჩნეული.

წარმოუდგენელი მძვინვარებით, რაღაც სადისტური ავხორცობით დალეწა ფაშისტ მოძალადემ და ყაჩაღთა ბრბომ პუშკინის ძეგლი კიშინიოვში, დახვრიტა ამ უდიდესი შერლის პორტრეტი, დაარბია მისივე სახლი და ყარ-მიდამო პსკოვის ოლქში, დაარბია და წაბილწა რუსული მხატვრული ლიტერატურის სიამაყის ა. პ. ჩეხოვის სახლი ქ. იტრაში, შეაგინა და შეურაცხყო დიდი უკრაინელი კობზარის ტ. შევჩენკოს სამარე უკრაინაში.

ადამიანის გონება დიდსნს ვერ შეურიგდება იმ ვანდალობას, რომელიც ფაშისტმა არამზადებმა აიდინეს ქ. კლინში ჩაიკოვსკის მიმართ და იასნაია პოლიანაში ლევ ტოლსტოს მიმართ. არ შეიძლება ადამიანმა უეჭველად წაიკითხოს ამ ბარბაროსობის შესახებ „პრავდასა“ და „იზვესტიაში“ გამოქვეყნებული დოკუმენტები. აი ფოტო-სურათი ქ. კლინიდან. სოსნა იყინება ძარღვებში, როცა ადგილობრივ ჰიტლერელ ვანდალებისაგან დარბეულ სახლ-მუზეუმს პ. ი. ჩაიკოვსკისას. ჰიტლერელ ვანდალებს გარეთ თოვლზე გადაუყრიათ დიდებული კომპოზიტორის ბიუსტი და სხვა სამუზეუმო ექსპონატები. თვით მუზეუმის შენობაში მოტოციკლები შეუტანიათ და რომ ისინი ყინვისაგან გადაარჩინონ, სახლი გაუთბიათ კომპოზიტორის ავტოგრაფებით და ოპერების პარტიტურებით.

ფაშისტი ვანდალების გაცოფების დაოს ატარებს დღეს დიდი ლევ ტოლსტოის სამშობლო სოფელი — იასნაია პოლიანა. რეგვნული გაბოროტებით წინასწარ მოფიქრებული გეგმით მათ მოუსპიათ და გაუფუჭებიათ ყველაფერი, რაც ძვირფასი და მახლობელია ყოველი კულტურული ადამიანისათვის. როგორც „იზვესტიას“ კორესპონდენტი გადმოგვცემს, გერმანელები შეჩრილან ტოლსტოის სახლ-მუზეუმში, ერთ ადგილას უწესრიგოდ შეუქუჩებიათ ავეჯი, ექსპონატები, სურათები, წიგნები. გაუხსნიათ იქ დაჭრილთა შესახვევი პუნქტი. თვით ეზო და ყარმიდამო ღორების სასაკლაოდ გადაუქცევიათ, დაულეწიათ და დაუწვავთ ლობეები, ბაღში საჯდომი სკამები. დიდი მწერლის საფლავთან გაუთხრიათ სამარე და დაუმარხავთ თავიანთი ბანდიტი ჯარისკაცები. კორესპონდენტი გვიხატავს ლიტერატურული მუზეუმის საშინელ სურათს: დარბაზი სავსეა დასისხლიანებული დაჭრილი ფაშისტებით, აქა-იქ ჰყრიან მაზარებში გახვეული გვამები. ფაშისტთა მხეცობის მოწმე პირების გადმოცემით, გერმანელი ჯარისკაცები გარეთ ჰყრიდნენ ავეჯს, ჰფანტავდნენ ეზოში წიგნებსა და ფოტო-სურათებს. ოფიცრები ამტვრევდნენ მინებს ფანჯრის ჩარჩოებში, ხსნიდნენ კედლებზე სურათებს, ზოგს გარეთ ჰყრიდნენ, ხოლო ზოგს იტაცებდნენ. გაძარცულ და დარბეულ მუზეუმის დარბაზში მოკალათდნენ ოფიცრები, რომლებიც ორი კვირის განმავლობაში ორგიებს აწყობდნენ. ერთ ოთახში სადალაქო მოუწყვიათ, ხოლო მეორეში — ფეხსაცმლის სახელოსნო. ბარბაროსებმა არ დაინდეს არც ის ოთახი, სადაც ტოლსტოი ჰქმნიდა თავის „ომსა და მშვიდობას“. სამ ნოემბერს ღამით გალეშილი ოფიცრები შევარდნენ ოთახში, დალეწეს კარადები და მათი ნამტვრევებით ცეცხლი გააჩაღეს ღუმელში.

ასეთია ის გაუგონარი ბოროტება, რომლითაც ფაშისტებმა საბოლოოდ შეაჩვენეს თავიანთი თავი კაცობრიობის წინაშე.

ამ წარმოუდგენელი ნგრევითა და რბევით ფიქრობენ ჯალათები მოსპონ პუშკინის, ჩეხოვის, ჩაიკოვსკის, დიდი ტოლსტოის უკვდავი ნამოქმედარი და მათი წმინდა ხსოვნა. ეს გონებადაკარგულ ბარბაროსთა გიჟური ოცნებაა მხოლოდ. ეს არის მათი გაცოფების უმაღლესი წერტილი. ამ ველურობას არასოდეს არ დაივიწყებს კაცობრიობა.

ფაშისტური ვანდალობის ეს ახალი შემაძრწუნებელი ფაქტები ასკეცებენ ჩვენს წმინდა სიძულვილს კულტურის ამ უბოროტეს მტრებისადმი, ასკეცებენ ჩვენს გადაწყვეტილებას — უკანასკნელ ჯარისკაცამდე მუსრი გავავლოთ ფაშისტ დამპყრობელებს, რომლებმაც კაცობრიობის ისტორიაში ვანდალობის ყველაზე ალმაშფოთებელი და შემაძრწუნებელი ფურცლები ჩასწერეს.

2. მსჯავრმდებელი

„ფაშისტებმა „მოიერიშეთა რაზმში“
ჩარიცხეს გოეტე, შილლერი...“
(გაზეთებიდან).

[თქვენ, ბედნიერო თვალებო,
რაც თქვენ ხილეთ,
როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის,
მაინც მშვენიერი იყო ყველაფერი!]
რას იტყოდა ის, დიდი გერმანელი?
წარმოვიდგინოთ მოხუცი გოეტე
ბნელ ღამეს ანთებული ლამპრით
ხელში თავისი ვაიმარული სახლის
ზღურბლთან, ადამიანი, ოდესღაც
გულგრილად მაცქერალი სოციალური
კათაკლიზმებისადმი და ახლა წონასწორობიდან გამოსული, შეძრწუნებული ადამიანურ ღირსებათა გაქელვით,
ყოფილი ეფრეიტორის მიერ გაცოცხლებული ინკვიზიციით, გულისწყრომის სიტყვებით ბაგეზე:

„— რაც უფრო ვრცელია ქვეყანა,
მით უფრო შემზარავია ეს სისხლიანი
ფარსი; და მე ვფიცავ, რომ ყოველგვარი უმსგავსობა ნაკლებ საზიზღარია, ვიდრე ეს ალრევა დიდთა, საშუალოთა და მცირეთა!.. მე ვევედრები ღმერთებს, რომ მათ ბოლომდე, შემინარჩუნონ ჩემი ვაჟკაცობა და ქედმაღლობა: უმჯობესია მომისწრაფონ სიცოცხლე, ვიდრე მაიძულონ მუცლით ვხოხავდე, მსგავსად მატლისა, ჩემი გზის უკანასკნელ გადასარბენზე... მე თაყვანსა ვცემ ღმერთებს, მაგრამ იმდენი გამბედაობა გამაჩნია, რომ მარადი მტრობა განუცხადო მათ, თუ ისინი მოგვეპყრობიან ისე, როგორც გვეპყრობა მათი მსგავსება — ადამიანი!“

ეს გოეტეს სიტყვებია, თითქოს ევროპის ამ ბნელ ღამეში მრისხანედ წარმოთქმული.

[illegible]

ფიქრი

სოლომონ თავაძე

შალე ინათებს, მზე მწვერვალებს სხივებს აპკურებს.
მთაწმინდის გულში ჟამს ჩამოკრავს შუქი მარადი.
ჩემო ქალაქო, შენთან ერთად მე თავს დამყურებს
მკრთალ ვარსკვლავებით მოქედილი ცის მუზარადი.

რა მომასვენებს, როგორ შევხვდე დილას მძინარე,
როცა ნალმებად სჭექს, ზრიალებს ყოველი წამი,
როცა კარს გვადგას მუხანათი მტერი მძვინვარე,
უკუნეთიდან დაძრული და მთესველი შხამის!

რა მომასვენებს, როცა ღამე და დღის ნათელი
სიკვდილთან ბრძოლის უზარმაზარ კვარცხლბეკს აშენებს!
რა მომასვენებს, როცა ფიქრი ამაღამდელი
ჩვენი გმირების ზეაღმართულ დროშებს ამშვენებს!

რა მომასვენებს! ან ეს ფიქრი, გულის დამწველი,
როგორ ვაქცია შეუპოვარ მეომრის ძალად,
რომ მეც იქ ვიდგე, სადაც ბრძოლის კორიანტელი
სდუღს და ბობოქრობს ვერაგ მტრისთვის ზარდამცემ ალად!

უკვე თენდება. მხოლოდ ფიქრი, ფიქრი და გზნება, —
ეს-ღა ყოფილა გულანთებულ პოეტის ხვედრი!
ნეტავ შემეძლოს, რომ ავაწყო რითმა ვაზნებად
და ვსჭექო სიტყვა გორგასლანის ხმალივით მკვეთრი!

ან და დავსწერო ერთი ლექსი მკვირცხლი, ფრთამალი,
დედის გულივით უანგარო ტრფობით გამთბარი,
რომ დაჭრილ მებრძოლს მიუტანოს წყლულის წამალი,
გადასცეს მადლი და სიმტკიცე ჩვენი მთაბარის!

გაშალოს ფრთები, როგორც ვაჟას მძლავრმა არწივმა,
და მტერს, რომელიც ჩვენს ვაჟკაცებს იღებს მიზანში,
დაჭკრას ბრჭყალები, რომ განგმირულ ბილწის ნაწილმა
თვითონ სამარეც ვერა ჰპოვოს მშობელ მიწაში.

მერმე აფრინდეს ცის ლაჟვარდში მზესავით წმინდა,
იმღეროს ჰიმნი სიცოცხლისა და სიხარულის;
გასძახოს ყველას: — ეს ქვეყანა ჩვენ მისთვის გვინდა,
რომ იყოს მხოლოდ ძმური შრომა და სიყვარული!

ჩვენ ისევ მოვალთ

ოკუპირებული უკრაინის მკვიდრს

გიორგი კაჭახიძე

გიქადის სიკვდილს, საფლავის გათხრას
დასავლეთიდან მოსული ჭირი.
ხედავ ყოველდღე სისხლიან მათრახს
და უპატრონო ბავშვების ტირილს.

შენი გოგონაც დაეძებს დედას,
მაგრამ დედილო არა ჩანს არსად...
— ო, არ ვუცქერდე ამ სურათს, ნეტავ!
ამბობ და კვნესი დაჭრილის მსგავსად.

მტაცებლის კლანჭი გარჭვია მკერდზე,
იკორტნებიან სვავები მძაფრად.
ვერ გიპოვნია და ისევ ეძებ
საყვარელ ცოლის დაკარგულ საფლავს.

ცრემლი წამწამზე ჭირხლივით გეკვრის,
ვერ ისვენებ და იქუხო გინდა...
შფოთავს მრისხანედ გაშლილი დნეპრიც,
შფოთავს შევჩენკოს აჩრდილი წმინდა.

მწვავედ ჩაგჭიდა შიმშილმა ხელი,
ვინ დაგიბრუნებს წართმეულ ხორბალს!
მტრებმა ძროხასაც გამოჭრეს ყელი
და დაგიტოვეს ბოჩოლა ობლად.

ბრაზით ინთები, ნაღველი გახრჩობს,
თავისუფლება წაგართვეს ძალით.
ჩანს შენი სახლის ყოველი ჩარჩო
როგორც მგლებისგან დახრული ძვალი.

ფეხზე ხარ მაინც და კაცად რჩები,
კუნთებს ძალ-ღონით იმედი გივსებს.
გამხნევებს გრგვინვა — ბრძოლები ჩვენი
და მზის ამოსვლას მოელი ისევ.

გველოდე, მოვალთ...
სიმართლეს ვიცავთ
და ამ ბრძოლებში არა ვართ მარტო.
გავწმენდთ მტრებისგან სამშობლოს მიწას
და მზე კვლავ თქვენთვის ამოვა ფართოდ.

ჩვენ ისევ მოვალთ, ო, ისევ ძმებად
შემოგვაბებებ დროშას და ღიმილს.
ბალახს წამოშლის სიცოცხლის გზნება,
მორთავს ღობეზე მამალიც ყივილს
და მოედება გარემოს შვებად
თავისუფლების ნათელი სხივი.

კომპოზიტორთა კავშირში

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირმა ამ დღეებში განიხილა კომპოზიტორების ოლია ბარამიშვილის, ურმ-შატის, თ. შავერზაშვილისა და ბ. ავეტისოვის ახალი ნაწარმოებები.

ერთ-ერთ საინტერესო ნაწარმოებად ერთხმად მიჩნეულ იქნა ო. ბარამიშვილის „ქარიშხალას სიმღერა“, რომელიც ავტორს დაუწერია მ. გორკის ამავე სახელწოდების უკვდავ თხზულების მიხედვით. ეს მუსიკალური ნაწარმოები აღსავსეა რევოლუციური რომანტიკით.

ყურადღება მიიქცია თ. შავერზაშვილის სიმფონიური ორკესტრისათვის დაწერილმა მარშმა და ურმ-შატის ოთხმა სიმღერამ.

კამათში გამოსული კომპოზიტორები და მუსიკათმცოდნეები მიუთითებდნენ ავტორებს მათს ახალ ნაწარმოებებში მთელ რიგ უარყოფით მხარეებზე.

მოსკოვის კუიბიშევის რაიონის მოხალისე-მეავტომატეები მიდიან საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად.
(ს. კლესის ფოტოქრონიკა).

მწერალთა ბრიგადა დასავლეთ საქართველოში

საბჭოთა მწერლების კავშირმა საქართველოს რაიონებში ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოების გასამართავად მიავლინა მწერალთა ბრიგადა, რომელშიაც შედიოდნენ აკაკი მაშაშვილი, გერონტი ქიქოძე, სანდრო ეული, კარლო კალაძე და მიქელ პატარაიძე.

მწერალთა ბრიგადამ ლიტერატურული გამოსვლები მოაწყო ხუგდიდში, ენგურის საბჭოთა მეურნეობაში, ენგურის ქალაქის ფაბრიკასა და ხობში.

მოხსენებებით სამამულო ომზე გამოვიდა გერონტი ქიქოძე. საკუთარი ლექსები წაიკითხეს აკაკი მაშაშვილმა, სანდრო ეულმა, კარლო კალაძემ და მიქელ პატარაიძემ.

საღამოებს ყველგან დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ყოველი მწერლის გამოსვლას აუდიტორია გულთბილად და აღტაცებით ხვდებოდა.

რუსთაველის თეატრის ახალი დადგმები

რუსთაველის თეატრი ამჟამად მუშაობს გ. მდივნის პიესაზე „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“. პიესას დგამს ა. ვასაძე. პრემიერა შესდგება 1942 წლის იანვრის პირველ ნახევარში.

ამასთან ერთად თეატრი შეუდგა სარდუს პიესა „ფლანდრიაზე“ მუშაობას. პიესას დგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აღსიბა.

თეატრი სულ მალე დაიწყებს მუშაობას გ. მდივნის ახალ პიესაზე, რომლის თემაა მოსკოვის დაცვა. პიესას დასდგამს სსრკ სახალხო არტისტი ა. ვასაძე.

1942 წლისთვის თეატრს განზრახული აქვს დასდგას კიდევ ორი პიესა: გ. ერისთავის „დავა“ და შექსპირის „მეფე ლირი“.

„მეფე ლირის“ დადგმას ხელმძღვანელობას გაუწევს სსრკ სახალხო არტისტი ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო.

ფაშისტი მჯღაბნელები ხელოვნების „ამყვანებელთა“ როლში

როზენბერგები და გუნტერები გაჩკივიან „ახალ გერმანულ კულტურაზე“, მაგრამ ასეთი კულტურა ბუნებაში არსად არსებობს. ჰიტლერულ გერმანიაში გაბატონებული „იდეოლოგია“ შეთითხნილია სხვადასხვა, ერთი მეორის საწინააღმდეგო „იდეებისა“ და „თეორიებისაგან“. იქ შეხვდებით მანიაკალურ რასისტულ იდეებს, მოიერიშეს მსოფლმხედველობასთან შეფარდებულ „ვოლუნტარიზმს“, რომელიც ამოკითხული აქვთ კარლეილისა და ნიცშეს ნაწერებში. ყველაფერი ეს ერთად შეკაზმულია ისეთი თეორიებით, რომლებიც ნასესხებია ახალი დროის რეაქციონერ ფილოსოფოსებისაგან — შპენგლერიდან დაწყებული ჯენტილესა და კლიაგესით გათავებული.

ამას თუ დავურთავთ აღვირახსნილ შავრაზმელ ანტისემიტიზმს და „სურნელებისათვის“ დამატებულ მისტიკას, შეიძლება ცოტად თუ ბევრად ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ფაშისტური „დოქტრინის“ ღირსებასა და ორიგინალობაზე, ფაშისტების მჯღაბნელთა ქურდულ ეკლექტიზმზე.

სხვადასხვა ჯურის გრაფომანები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ გონება ებრაელების ეშმაკური გამოგონებაა. გერმანელს უნდა ამოძრავებდესო „რასიული ინსტინქტი“, „სიხლის ხმა“.

სვასტიკიანი „ლიტერატურათმცოდნეები“ მსჯელობდნენ ისეთ საკითხზე —იყო თუ არა გოეთე. შილერის მკვლელი (ამ თემაზე ლუდენდორფის ქვრივმა დასწერა ნაბოდვარი ტრაქტატი, რომელშიაც იგი ამტკიცებდა, რომ გოეთემ... მოსწამლა შილერი). მათვე გამოიკვლიეს ლესინგის გენეალოგია და მისი წინაპრების არიელობაში ეჭვი შეიტანეს. ეს ვაუბატონები ჰკვეცენ კლასიკოსთა ტექსტებს—ასხვაფერებენ, ამახინჯებენ ათასნაირად იმ მიზნით, რომ გამოადგეთ ფაშისტური ლოზუნგების „საილუსტრაციოდ“.

სხვადასხვა მიზეზით გერმანიაში დარჩენილი ორი-სამი ნეჭიერი მწერალი ბედი ნათლად მოწმობს გერმანულ კულტურის დეგრადაციას.

ჰერგარტ ჰაუპტმანი, ჰანს ფალადა, კაზმირ ედშმიტი, რომელთაც პირველ-ხანებში ხელისგულზე ატარებდნენ, გენიოსებად სთვლიდნენ, ბოლო დროს ჩრდილში ჩაეყენნენ. ფაშიზმთან შეგუებულ მხატვართა უკანასკნელი წლების შემოქმედებითი პროდუქცია იმდენად დაბალი ხარისხისა აღმოჩნდა („ოქროს არფა“ ჰაუპტმანისა, „ჩვენ გვყავდა ბავშვი“ ფალადასი და სხვ.), რომ ხელმძღვანელთა აზრითაც კი ეს პროდუქცია არ შეესაბამება მათ წინანდელ რეპუტაციას.

რაც შეეხება საკუთრივ ფაშისტურ ლიტერატურასა და ხელოვნებას, აქ უსირცხვილო ფალსიფიკატორებიც კი ვერ უარჰყოფენ მის შეზღუდულობას, გამოფიტვას, დაწვრილმანებას.

ერთ-ერთი ლიტერატურული ჟურნალის—„დი ლიტერატურის“ სარედაქციო წერილში გულის ტკივილით აღნიშნულია, რომ „ნდობა, რომელიც მოიპოვეს ჩვენმა ძველმა მუსიკამ და ძველმა ლიტერატურამ, მიეულწეველია დღევანდელი ხელოვნებისათვის, მით უმეტეს მწერლობისათვის“-აო.

საქციელ-წამხდარი ჰიტლერელი მოიერიშეები ცდილობენ ახსნან ეს იმით, რომ „ჯერ კიდევ იარაღი მეტყველებს და პოეტები სდუმანო“. ასე განაცხადა თავის სტატიაში გერმანული და იტალიური კულტურის შესახებ ვიღაც ჰენგარტ რეინბოტმა. ეს ფაშისტი ლიტერატურათმცოდნე ანუგეშებს თავის მკითხველებს იმით, რომ „ჩვენ ვცხოვრობთ მოქმედების, სწრაფი მოქმედების ეპოქაში, მაგრამ სული ჯერ კიდევ არ არის მოტორიზებული“.

ოცნება „მოტორიზებულ“ სულზე ფაშისტ მარჩიელთა სულელური კამპანიის ახალი ფორმაა. ფაშისტ ყაჩაღებისათვის სიტყვას არავითარი ფასი აღარა აქვს. მათთვის მწერლობაშიაც დაუკარგავს სიტყვას ღირებულება.

ბინდინგი აღიარებს, რომ „ყოველი სიტყვა სიცრუეა; ყველა სიტყვა, ფრაზა, სტატია, წიგნი სულ სიცრუეა... იმტომ რომ სიტყვა მხოლოდ თვალთმაქცობს, მხოლოდ გვიჩვენებს — სინამდვილეს და სიმართლეს გამოვხატავო“.

მეორე ორაკული უმატებს, რომ „ყოველგვარი წიგნის კითხვა საკუთარი თავის მოტყუებაა. ეს საზრდო კი არა, მხოლოდ აღტყინებაა“.

ფაშისტების თანამედროვე „კლასიკოსების“ ეს აფორიზმები ნამდვილ შეფასებას აძლევენ „მესამე იმპერიაში“ შექმნილ მწერლობის ნიმუშებს.

გასულ წელს მთელმა კაცობრიობამ აღნიშნა წიგნის ბეჭდვის 500 წლისთავი, აღნიშნა გუტენბერგის ხსოვნა. გერმანიაშიც მოაწყეს გარეგნულად ბრჭყვიალა დღესასწაული. შეიქმნა გუტენბერგის გარშემო ლიტერატურული პროდუქციაც. ამ პროდუქციიდან აღსანიშნავია ვოლფრან ფონ გენშტეინის „ისტორიული რომანი“, რომელიც სავსეა პორნოგრაფიული სურათებით. ამ რომანთან შედარებით მესამე ხარისხოვანი ბულვარული რომანები შედევრებად მოსჩანან.

ფაშისტ „კრიტიკოსებისა“ და „ლიტერატურათმცოდნეებისათვის არ არსებობს „გონება“, „ლოგიკა“, „მტკიცება“ — ყველაფერი ეს მათთვის ებრაული გამოგონებაა. ისინი მიმართავენ „სისხლის ხმას“ და „რასიულ ინტუიციას“. ამიტომ ისინი უაპელაციოდ ღალადებენ გერმანიაში ახალი „არიული კულტურის“ აყვავებაზე. არ ერიდებიან ისინი არავითარ ფალსიფიკაციას, სიყალბეს. თავიანთი სულელური ნაბოდვარის დასამტკიცებლად ისინი ასახიჩრებენ მსოფლიო კულტურის შედევრებს. ტყუილად კი არ გაანაცხადა ელზასელმა „ლირიკოსმა“ რეინახერმა: „მე გიჟი ვარ, მაგრამ ისეთი გიჟი, რომელიც იტოვებს გონებით სარგებლობის უფლებასო“.

ასეთი აშკარა ფსიქოფატები, გაიძვერები და ბნელეთის მოციქულები ფიქრობენ გახდნენ გერმანული ნაციონალური კულტურის ამყვავებლად.

ა. ნ.

„ჩვენ თავად ვართ დამნაშავენი“*)

ვ. წულუკიძე

კაციჭამია ჰიტლერის ბარბაროსულმა არმიამ ჩვენი მამაცი წითელი ჯარის გამანადგურებელი ლახვარი იწვნია, ნაცისტებმა მოსკოვთან საშინელი მარცხი განიცადეს და უკვე ყველა საღად მოაზროვნე მიუდგომელი დამკვირვებლისათვის აშკარა შეიქნა ფაშისტური გერმანიის მოახლოვებული სამხედრო და პოლიტიკური კატასტროფა, ახლა ასეთ ვითარებაში ძველი და შუა თაობის მრავალი გერმანელი მუშა, ალბათ, იმეორებს ფრანზას, რომელიც ეკუთვნის ანტიფაშისტი მწერლის ფრანც ვეისკოპფის რომანის „ცდუნების“ ერთ-ერთ პერსონაჟს—მოხუცი მუშას შრედერს: ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავენი, რომ გერმანიაში გაბატონდნენ ფაშისტები, რომლებსაც დაოუპვისაკენ მივყეეართ.

ღრმა რეალისტური სიმართლით დაწერილი ეს რომანი ერთი იმ ნაწარმოებთაგანია, რომელიც მხატვრული მიუდგომლობით გვისურათებს გერმანელი მძსების გაფაშისტების პროცესს, გვიხსნის იმას, თუ რატომ მოხდა, რომ ჰიტლერელთა ბანაკში თავი მოიყარეს არა მარტო ანტისოციალურმა ელემენტებმა, კრიმინალურმა ტიპებმა, აშკარა ნაძირალებმა და არამზადებმა, არამედ რეოლუციური ბრძოლის ტრადიციებზე აღზრდილი მუშების შვილებმა, მუშათა კლასის ახალი თაობის წარმომადგენლებმა.

„ცდუნების“ ცენტრალური ფიგურაა ახალგაზრდა ქალი ლისი შრედერი. მამა მისი შთამომავლობით მუშაა, პროფკავშირელი მოღვაწე და ძველი სოციალ-დემოკრატი. რომანის გმირი ქალი ლისი შრედერი აღიზარდა მიუღერშტრასეზე, მუშათა რაიონის ცენტრში, მუშურ გარემოცვაში. მამა მისი მოხუცი შრედერი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი უბნისა. როცა ჰიტლერი და მისი დამფაშები ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, როცა მათ აიფორიაქეს და დაარბიეს მუშათა კვარტალები, დახვრიტეს და საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაჰყარეს ოპოზიციურად განწყობილი მუშები, როცა სვასტიკიანი ბაირაღები ააფრიალეს მუშათა უბნებში და ძირფესვიანად შესცვალეს ამ უბნების თვით გარეგნული იერიც კი, მოხუცმა შრედერმა, მრავალი თავისი თანამოაზრის მსგავსად, „სახეზე რკინის ფარდა ჩამოიფარა“, პირში წყალი დაიგუბა, დარჩა ამბების პასიური მაყურებლად. იგი დიდხანს იყო დადუმებული. მხოლოდ მაშინ, როცა ფაშისტურმა მუხრუჭმა მთელ გერმანიას ძალზე მოუჭირა, როცა სუნთქვა შეუძლებელი გახდა, მხოლოდ მაშინ მოხუცი შრედერს თავისდაუნებურად მწარედ აღმოხდა გულის სიღრმიდან:

„ჩვენ თვითონა ვართ ყველაფერში დამნაშავენი. ყველაფერი ჩვენი ვირუული მოთმინების ბრალია. შემდეგისათვის ეს ჩვენ ჭკუას გვასწავლის“.

რას უსაყვედურებს თავის თავს, რაზე ნანობს მოხუცი გერმანელი მუშა? აშკარაა, რომ მის სინდისს ქეჯნის საკუთარი კლასის წინაშე ჩადენილი დანაშაული, სახელდობრ ის, რომ მან, შრედერმა, გადაუხვია ბებელისა და მერინგის, კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის გზას, ჩაეფლო მეშჩანური ყოფის წუმპეში, და სწორედ იმ წლებში, როცა მუშათა კლასს, მთელ გერმანელ ხალხს მიხაკისფერი ჭირის მოსვლის საშიშროება ემუქრებოდა, ის, ძველი პროფკავშირელი მოღვაწე, ძველი სოციალ-დემოკრატი ოცნებობდა მხოლოდ იმაზე, რომ თავისი შვილები პაული და ლისი მამის ხვედრს, ჩვეულებრივი პატიოსანი მუშის ხვედრს აცდენოდნენ, სოციალური კიბის უფრო მაღალ საფეხურზე მოქცეულიყვნენ, კმაყოფილი და უზრუნველი ცხოვრების გზაზე გამოსულიყვნენ.

მისი ასეთი გულგრილობა ახალი თაობის იდეურ-მორალური აღზრდისადმი, ზრუნვა შვილების მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობისათვის, გახდა მიზეზი იმისა, რომ ახალი თაობა ინდიფერენტული აღმოჩნდა თავისი კლასის მომავალი ბედისადმი. მაგრამ ამ სუბიექტურ მიზეზს, რომელმაც მოამზადა ფაშიზმის ვაბატონება, დაერთო ობიექტური გარემებაც.

პაულმა და მისმა ტოლმა ახალგაზრდებმა თავიანთი კარიერა დაიწყეს მაშინ, როცა გერმანიაში მძვინვარე სამრეწველო კრიზისმა უკვე საბოლოოდ წაართვა ახალგაზრდა მუშებს შრომის უფლება. პაული იმ თაობის ახალგაზრდაა, რომელმაც ვერ მოასწრო კვალიფიკაციის შეძენა, საერთოდ ვერ მოასწრო მუშად გახდომა, ვერ მოახერხა რაიმე საშემოსავლო წყაროს გაჩენა. პაული ღატაკი და უმწეოა არა მარტო მატერიალურად, არამედ იდეურად და მორალურადაც. არავითარი იდეალი მას არ გააჩნია. მისი ოცნებაა იქონიოს საკუთარი მოტოციკლი, იაროს ყოველდღე კინოთეატრებში, რომ დასტკბეს ისეთი ფილმებით, როგორიცაა „ქალი ვამპირი“ და „მძარცველი ჯენტლმენები“. პაულის მადა არც ისე დიდია, მაგრამ მას ხშირად გროშიც კი არ აბადია, რომ ასეთი შეკვეცილი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. სამუშაოც არ იშოვება. მის შრომას არავინ საჭიროებს, და პაული ხდება ჯერ ქურდი, ხოლო შემდეგ მიდის ჰიტლერთან, ეწერება ფაშისტ მოიერიშეთა რაზმში. მოხუცი შრედერს ეს თავის პირად უბედურებად მიაჩნია. ის ვერ ურიგდება იმ სამარცხვინო ფაქტს, რომ მისი ოჯახიდან გამოვიდა ადამიანი, რომელმაც შეავსო ჯალათ ჰიტლერის ბანაკი. შრედერი მწვავე სულიერ ტკივილს განიცდის, მაგრამ ბოლოს მაინც ზიზღით უარჰყოფს თავის ერთად-ერთ ვაჟს.

მწარე ბედი ხვდა შრედერის ქალიშვილს ლისისაც, მაგრამ მას იმდენი სულიერი სიმტკიცე მაინც აღმოაჩნდა, რომ ძმასავით მოლიპულ გზაზე არ დაქანებულა. ლისი ჯერ კელნერად, ხოლო შემდეგ მოლარედ მუშაობდა ცნობილ „კუკთან“, ბერლინის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე დიდ კომფორტაბელურ რესტორანში. ბატონი კუკისთვის ლისი არის არა მარტო მოლარე, არამედ სახარბიელო ხორცის ნაჭერი. კუკი ჩასცინებია ქალს დანებდეს. ასეთივე წინადადებებით მოსვლებას არ აძლევენ ქალს „წარმოების რაციონალიზატორები“ და ჯიბესქელი კლიენტები. ყველაფერი ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო ლისისთვის. ეს რიდი აღშფოთებდა მას, მაგრამ აი ბატონი ინსპექტორი ვარიკეც ბედავს მისცეს ქალს უხამსი წინადადება (ეს მოწმობს იმას, რომ ქვეყანა წარმოუდგენელ კრიზისში ჩავარდნილა). სხვამის, ჩვეულებრივ დროს, ვარიკე ასე ვერ გათავხედდებოდა. ამ ვაებატონის ფიზიკური და სულიერი სიმახინჯე ძალზე შემაძრწუნებელია. ცივი უარით უპასუხებს ქალი ვარიკეს უტიფრობას, და მალე ლისი ქუჩაში გაგდებული აღმოჩნდება. ამას ზედ მეორე უბედურებაც ერთვის—უმუშევრად რჩება ლისის ქმარი ფრედ ფრომეიერი—ყოველად ბოლწი და საზიზღარი ადამიანი. კანტორის წვრილი მოხელე ფრედი დიდხანს უშედეგოდ ეძებს სამუშაოს და ბოლოს პოულობს შესაფერ ადგილს: ეწყობა მოიერიშედ ჰიტლერის რაზმში. აქ იგი მალე აკეთებს კარიერას: შარფფიუერერიდან ხდება შტანდარტენფიუერერად. ფრედი ყოველთვის არამზადა იყო. მოხუცი შრედერს მუდამ სძულდა და ეზიზღებოდა იგი. ფრომეიერების ოჯახმა მაშინვე გასწყვიტა კავშირი ფრედისთან, როცა მან ცოლად შეირთო ვიღაც მოლარე ქალი, უბრალო მუშის ქალიშვილი. მოხუცმა შრედერმაც ზურგი შეაქცია თავის ქალიშვილს, შეუთვალა, არ დაგინახო ჩემს ახლო, მიულერშტრასეზე გავლილიო. ლისი სულ განმარტოებული დარჩა, როცა მას ჩამოშორდნენ სიყრმის მეგობარი ტონი და მისი ქმარი, კომუნისტი მაქსი.

ფრედის და მის ახალ მეგობართა წრეში მოხვედრილი ლისი ხედავს, თუ რა დაუნდობლად უსწორდებიან ჰიტლერელები „არაარიელს“—დოქტორ დანცინგერს. ეს საზოგადოება, რომელსაც ადამიანობისა არაფერი სცხია, სულს უხუთავს ლისის. მაგრამ მათ შორის არის ერთი ჭაბუკი, რომელიც დროებით აჩერებს მას ამ წრეში, აჩერებს იმით, რომ ამ ჭაბუკს ჯერ კიდევ შერჩენია კაცური ღირსების ნატამალი. ეს არის კლაუს კარგერი. იგი ერთი იმ მოტყუებულთაგანია, ერთი იმ მრავალთაგანია, რომელმაც ჭეშმარიტებად მიიღო ჰიტლერის სოციალური დემაგოგია. კლაუსი მოჰკლეს „თავისიანებმა“, მოჰკლეს იმიტომ, რომ ვინჭელმშტრასეზე გამართულ ფაშისტური პარადის შემდეგ მან არ მოისურვა სხვებთან ერთად „გაესეირნა კიდევ შარლოტენბურგის კომუნისტურ რაიონში იმ მიზნით, რომ ეჩვენებინათ „იქაური ხროვისათვის“, თუ ვის ქუჩაზეა ზეიმი და დღესასწაული“.

ლისიმ მიიღო კიდევ ბევრი სხვა საგნობრივი გაკვეთილი, რომლებმაც იგი თანდათან დაარწმუნეს, რომ მოტყუებულნი აუცილებლად „თავისიანების“ ხელით იღუპებიან.

და როცა ლისი ქუჩაში შემთხვევით შეხვდა მაქსს, რომელიც პოლიციელთა დევნას გამოქცეოდა, უმალვე წინადადება მისცა, დაგმალავ ჩემი ქმრის შტანდარტენფიუერერის ბინაზეო. ქალმა უყოყმანოდ გადასწყვიტა გაეწია ეს სამსახური თავისი ძველი მეგობრისათვის, მაგრამ მომაკვდინებელ საშიშროების ქვეშ მყოფმა მაქსმა მაშინვე როდი მიიღო ეს წინადადება, ლისიმ დაინახა, რომ მაქსი და მისი ამხანაგები სულ სხვა ჯიშის, სულ სხვა მოდგმის ადამიანები არიან, რომლებიც არ იღუნებიან, არ იხრებიან და მტკიცედ დარწმუნებულნი არიან თავიანთ ძალაში. ყველაზე მეტად ქალი გაკვირვა იმ გარემოებამ, რომ მაქსი თხეს სრულიად არა გრძნობდა განმარტოებულად. მაქსმა მიიღო ლისის დახმარება მხოლოდ იმიტომ, რომ ქალსა და მაქს იმ წუთში მოაგონდათ ფულერმტრასე და მისი ადამიანები.

იმ ნდობამ, რომელიც ლისისადმი გამოიჩინა მაქსმა, გადასწყვიტა ყველაფერი. ლისი საბოლოოდ უერთდება მაქსს, რომ მასთან და მის გასაოცარ ამხანაგებთან ერთად იატაკქვეშ გააჩაღოს ბრძოლა ფაშისტებთან. ის იწყებს თავდადებულ არალეგალურ მუშაობას და მზად არის ბიღოს ყოველგვარი მსხვერპლი ამისათვის, რომ გამოისყიდოს მამის მძიმე დანაშაული.

ღღეს ლისი და მისი თანამებრძოლნი გულისფანცქალით ადევნებენ თვალყურს აღმისავლეთის ფრონტიდან მოსული ამბებს, ჩვენი მამაცი არმიის მიერ ფაშისტურ ურდოებზე მიტანილ გამანადგურებელ იერიშს, რათა დრო შეურჩინონ და თავათაც ჩასცენ სასიკვდილო ლახვარი გერმანიის სხეულზე გათხრილ სვასტიკიან ორმობას.

*) ფრანც ვეისოპფის რომანი „ცდუნება“.

ჰანსი იცინის

ალ. ჭეიშვილი

ჩამრგვალებული, გვაჯა ჰანსი ურმის თვალიკით მიგორავს ყუმბარებით დალეწილ შარა-გზაზე. უცნაური სიარული იცის ჰანსმა. თითქოს წინ მიისწრაფის, თან წრეესაც უვლის. მორეკვივით ბრუნავს. მის კვალზე მკლედ აწოწილი ვალტერ მაიერი მირბის. იგი თითქოს მკვრივად არ არის ტანში შეკრულიო, სიარულის დროს ირწევა. ვალტერის უკან კოლოტა ოტტო მიქროლობს, რომელსაც ლიანი ზედ გულის კოვზთან ეწყება. რეკრუტების გუნდი, წამდაუწუმ ერთმანეთს რომ ელეწება, მეწინავე სამ მორბედს ჩამორჩა.

თითქოს თავგამეტებით გარბიან. მაინც გზას ბარაქა ვერ დააყარეს. ქარბუქი, შემცხადებელი ვით რომ წვიის ტელეგრაფის მავთულებში, წინ ეღობებათ, გულმკერდის გამოგლეჯას ლამობს. ქარიანად აბეტონილი თოვლის ფიფქი, ჰაერს რომ აბნელებს, ეკალივით ესობათ სახეში. ასე ეჩვენებათ, თითქოს წყალ-ალმა მიცურავენო.

მაგრამ პირ-ქარზე არა სწყრებიან. არც თუ ძალიან მიუხარიანთ სადგურ რაზდორნაიასაკენ, სადაც მათ ბატალიონს მარცხენა ფოთაზე თავდაცვის ზღუდე უჭირავს. იქ მიწა გუგუნებს, ღმუის და ელავს, თითქოს გრდემლს ვეება უროს სცემენო. ორი საათის წინ, ვაზნებისთვის, რომ გამოგზავნეს სადივიზიო ბაზაზე, ძლივს დაალწიეს თავი ამ ჯოჯოხეთურ ცეცხლის რკალს, საბჭოთა არტილერიამ რომ დაანთო მათ თავზე.

დამდუღვრული ძალლებივით გარბიან ახლა იქიდან დამცველ რაზმელთა დივიზიის „ვიკინგი“-ს დაზაქსული ჯგუფები. რაც უფრო მიიწევენ წინ, მით უფრო იგრძნობა ამ ცეცხლის რკალის სიახლოვი. ხამუშ-ხამუშ გადიზუზუნის მაღლა, მათ თავზე ყუმბარა. ეს საბჭოთა არტილერია საკომუნიკაციო ხაზებს უშენს, სამარკაფო ნაწილების მოზიდვას აფერხებს.

ამათთვის კი ეს ჯერ სახიფათო არ არის და ბერლინელი დალაქი ჰანსი, ენაჭარტალა და მხიარული, დღეს უცნაურად გაყრილდა. პოლისმენივით იშვერის ხელს ამომშრალ ღელის კალაპოტისაკენ, სადაც ჩაიკარგნენ დამცველი რაზმის ნაწილები. ჰანსი მაღლა მიმქროლავ ყუმბარას მისძახის, თითქოს მიმართულებას აძლევესო:

— ჩვენკენ არა, გეთაყვა, ვიკინგებისაკენ! მაგათ მუხის თავები აქით!

მაგრამ აი ზედ მათ თავზე გადიზუზუნა ყუმბარამ და კოლოტა ოტტო საბარგულიდან გადმოვარდნილ ტომარივით დავარდა მიწაზე. აწოწილი ვალტერი გულმკერვალე მლოცველივით ჩაემხო პირქვე. უწვრთნელი რეკრუტები კი, იმის ნაცვლად, რომ დაფანტულიყვნენ ცხერებივით მიეყუჟნენ ერთმანეთს.

— სფარი, გაიშალენით!—მიაყვირა შიშისაგან თავგზაბნეულ რეკრუტებს ჰანსმა და თითონაც გაერთხო თოვლზე.

რეკრუტები ბოლ საგერდულზე მიხიტინ ნამქერს მიაწყდნენ. ხელბარებით, ფრჩხილებით ჩიჩქნიან გაყინულ თოვლს. წვავებივით მიძვრებიან ნაბუქარში. გაიხ ტვინის გამყინავი მოლოდინის წუთები. და უცებ მათ უკან საშინელის ძალით იგრგვინა. აფეთქების ძალამ მიწის გულმკერდი ამოიტანა და შადრევანივით შეისროლა ჰაერში. დაგუნდავებული ჰაერი ზუზგში დაეძგერათ. მუზარადები თავიდან ააცალათ. მაგრამ ყუმბარის ნამსხვრევებმა მაღლა გადაუარეს თავზე. ჰაერში ატყორცნილი, თოვლში შესვრილი მიწა ნელნელა ეშვება დაბლა. თითქოს ბინდი ჩამოწვაო.

კოლოტა ოტტო დიდხანს აფახულებს გადმოკარკლულ თვალის ქუთუთოებს და ნელ-ნელა დგება ზეზე. ვალტერმაც ძლივს აითრია წელი. ჰანსი კი უკვე რეკრუტებს დასტრიალებს. ესენი, ქორდანაცემ ქათმებივით გაბრუებულნი, ნელ-ნელა მრდიან გონს. ტანზე ხელს ისვამენ, ხორცს იჩქმეტენ. არა სჯერათ, რომ ცოცხლები გადარჩნენ. ერთმანეთს გასძახიან. ცოცხალი ხარ, არტურ? სადა ხარ, ფრიც? შიშნაკმამ საკუთარი ხმა უცხოდ ეჩვენებათ.

ქარი კი ისევ აღმუვლდა. გაშმაგებით ახვევს მათ გარშემო აბეტონილ თოვლს. თვალის გაღელა სჭირს. ისევ შექუჩდნენ. გადითვალეს. თითქოს არავინ აკლიათ.

მაგრამ ვინ გაშტილა ნაბუქარზე? ჭორფლიანი რეკრუტი ფრიცი თოვლში ჩაფლულ ჯარისკაცისაკენ იხრება.

— დაიცათ, ბიჭებო, ეს ჩვენთაგანი არ არის, დაჭრილი უნდა იყოს. რომელი ხარ, შენ, რომელი?—ჩასძახის უძრავად მწოლარეს. მკლავში ხელს აკლებს და ზვინთ ეწევა. ყინვისაგან გახამებული საზაფხულო მოსასხამი გამმარი ფოთოლივით შრიალებს ხელის მოვლებისას. ადგილიდან კი ვერ დაუძრავს. სხვებიც წამოეშვენენ ფრიცს. ძლივს ააგლიჯეს თოვლზე მიყინული ჯარისკაცი.

— დაჭრილი ყოფილა, მიუტოვებიათ, გაუყინავს,—თითქმის ერთბაგ აღმოხდათ შეზარებულთ.

ჯარისკაცს თავი ყინვისაგან გახევებული დოლბანდით აქვს შეფუთვნილი. მოკრუნჩხული ხელები ტუჩებთან მიუტანია. სჩანს, საკუთარი სუნთქვით ლამობდა დამზრალი ხელების გათბობას. სახის ნაკვთები აღარც კი ამჩნევია. წარბებ ყინვის თეთრ წიწვებს შეუბურავს. წამწამებზე ჩამოსული წვრილი ლოლუები შერხეულის ქორკანდელის შუშებივით ჩხრიალებენ. ეს ლრლუები სიმწრის ცრემლებია, სულის ამოსვლის ჟამს დაღვრილი. სიკვდილის ხარხარივით ჩაესმით რეკრუტებს მათი ჩურიალი. ტანში შეზარათ. ერთბაშად გაუშვეს ხელი გაყინულ ჯარისკაცს. გვაში მოწყვეტით დაეცა თოვლზე. მოკრუნჩხული ხელები კი ისევ ტუჩებთან დარჩა მიტაბილი. თითქოს კვლავ დამზრალ ხელებს უბერავს გასათბობადო.

— რისთვის? რისთვის? — თითქოს თავის თავს ეკითხებაო, ამოიგმინა ფრიცმა.

—ბევრ დაუპატიჟებელ სტუმარს დაუტოვებია თავისი ძვლები ამ უსაზღვრო რუსულ ველებში და ჩვენც ეს ბედი ზოგვიმზადა ფიურერმა, გამოეპასუხა ჰანსი ფრიცს,—მაგრამ სხვა არის არიული სისხლი და ძვლები, კარგი სასუქია აქაური მიწისათვის, არა, ოტტო?.—მოგონლი სერიოზულობით მიუბრუნდა ის კოლოტა ფულცეს.

—Maul halten[1] შენ ვედინგის[2]) ლუდხანაში ხომ არ გგონია თავი? — შეუბღვირა საუბგბადრულ ჰანსს ოტტომ, რომელიც ფეხსაცმელზე აგლეჯილ ლანჩს ამაგრებს კანფით.

სახე გაკერპებულნი, ხმა გაკმენდილნი დაიძრნენ. თითქოს ისევ ჩაესმით გაყინული ჯარისკაცის თვალებზე ჩამოკიდებული ცრემლის ლოლუების ჩხრიალი. უფრო მეტად აიტანათ სუსხმა.

— ასე მგონია ვიღაცა ყურის ბიბილოში მწვდა და მაგლეჯსო,—წამდაუწუმ ისრესს ყურებს ვალტერი. საზათსტულო მოსასხამიდან ამორჩილი გამხდარი ბეჭისთავები უძიგძიგებენ.

— მესამე იმპერიას ვერ დავემდურებით, გრილად გვინახავს, აქ ამ სუსხიან ზამთარში გვასეირნებს მსუბუქად ჩაცმულებს, იქ კი ჩვენი ცოლებისა და ქალიშვილებისათვის დასაგრილებელ პუნქტებს აწყობს,—ისევ მოგონილი სიმშვიდით გაეპასუხა ჰანსი ვალტერს.

—Maul halten — კვლავ გაისმა ოტტოს შეყვირება. მაგრამ ნაცისტ ოტტოს ხმას დღეს როგორღაც ფოლადი აკლია. ამიტომაა, რომ ჰანსის მოგონილი მიამიტობით წამოსროლილ პასუხებზე რეკრუტები ჩუმად ხითხითებენ.

მათ წინსვლას უკანდახეული ნაწილების ნაკადი აჩერებს — დასავლეთისაკენ მიედინებიან ქვეითების, მეკავშირეების, მესნაგრეების დაშაქსული ჯგუფები.

უკანდახეულების ნაკადს მოტოციკლისტების და მეავტომატეების წვრილი ჯგუფები მიარღვევენ. მეავტომატეებს ჰიტლერის ლეიბგვარდიის ნაწილები მიჰყვნენ. უკანდახეულთა უწესრიგო გუგუნში მკვეთრად გაისმა დამცველი რაზმელების ფეხის ხმა. თავი ისე დაუხრიათ გვერდზე, იტყვი, სარჩოლელად მიიწევიანო.

— ჰაილ ჰიტლერ!—შეისროლა ოტტომ ჰაერში მუთაქა მკლავი.

— ჰაილ!—როგორღაც მწყრალად და თავმობეზრებულად გადმოსძახეს კოლოტა ოტტოს დამცველ რაზმელთა რიგებიდან. ეს ასეული გამოძახილი იმას ჰგავდა, ინდაურები რომ გამოეპასუხებიან დასტვენაზე.

საზაფხულო ტანისამოსში მოძიგძიგე რეკრუტებს თვალი წუთვიდათ დამცველ რაზმელთა ახლად მოთელილ ცხვრის ტყაპუჭებზე. ჰანსმა დაიჭირა რეკრუტების მზერა.

— ყოველისშემძლე ფიურერსაც არ ძალუძს თურმე, ბუნების კანონს რომ გადაახტეს,—გაიცინა მან.

— ვითომ რაო?—შესდგა კოლოტა ოტტო.

— ეგ თავის ლეიბგვარდია სისხლისმსმელ ნადირებს დაამგვანა, ძუძუთა ბავშვებს არ ინდობენ დასაკლავად. იმას მაინც ვერ მიაღწია, რომ ბეწვი გამოასხას. ისევ საბრალო ცხვრებისთვის გაუხდია ტყავი ამ თავის სალახების შემამოსად.

ოტტომ სიმსუქნისაგან გადმობრუნებული ლოყები მეზურნესავით გაბერა, პირი დაალო, მაგრამ პასუხის გაცემა ვერ მოახერხა. ასე შესდგა გალეწრებულივით.

— ჩვენთვის კი მარტო ეს თბილი სამუხლები გამოიმეტეს, — ამოიდგეს ენა ოტტოს მარცხით წათამამებულმა რეკრუტებმა.

— ეს სამუხლეები იმისთვის დაგვირიგეს, რომ მუხლმოდრეკილი ვილოცოთ ფიურერისათვის, — უფორიაქებს მაქსს სახეს თავშეუკავებელი ღიმილი.

ოტტომ მაგდრებელი თვალები მიაპყრო ვალტერს და ჰანსს, თითქოს სთხოვსო მათ, გეყოფათ აწიო. როგორღაც დაიმარტოხელეს დღეს ჰანსმა და ვალტერმა ნაცისტი ოტტო. ამდენხანს ხმა ვერ ამოელოთ. განსაკუთრებით ენაწყლიან, ოხუნჯ ბერლინელ პარიკმახერს ტანჯავდა ეს. ახლა კი, უკან დახევის დროს, გათამამდა, ენა ამოიდგა. საუბრის დროს ისე აპრუნებს ხელს, თითქოს სამართებელს პირს უწყობს ღვედზეო. მოუსვენრად ფუსფუსებს, თითქოს თავის სადალაქო დაზგას უვლისო გარშემო. ჭკბენს და ჭეკლავს ოტტოს, თითქოს მის თავზე უნდა გაპოანთხიოს მთელი ის გამოროტება, რომელიც წლობით დაგროვდა მის გულში ჰიტლერული რეჟიმის წინააღმდეგ. და ოტტოც გატყდა. რაღაცას დაუნაწევრებლად ლულლუღებს.

უფრო და უფრო უახლოვდებიან ცეცხლის ხაზს. ფრო მკვეთრად მოისმის ომის გუგუნი. ზარაზნების გრიალს ტყვიამფრქვევების ჭაჭანი ერთვის.

საბჭოთა მზვერავმა თვითმფრინავმა გადაუქროლა სადგურ რაზდორნაიასაკენ მიმავალ ჰიტლერულ ლეიბგვარიის კოლონას.

— ეჰ კარგ მოსაკითხს მოუმზადებენ ესენი ჰიტლერის სალახებს,—მოშაინურად წარმოსთქვა ჰანსმა.

და მართლაც, დამცველ რაზმელთა კოლონამ გაშლაც ვერ მოასწრო, მათ თავზე გაჩნდნენ საბჭოთა ბომბდამშენნი. უფრო მძლავრად აგუგუნდნენ სადგურ რაზდორნაიას მიდამოები. ცოტა ხანი და ლეიბგვარდიის კოლონა, წელან გაჯგიმული რომ მიემართებოდა საიერიშოდ, კისრისტეხით გარბოდა უკან. ისეთი ძალით ჩაუქროლეს ჰანსს და ვალტერს, რომ კინაღამ გადააყირავეს.

ჰანსი განზე გახტა, ხელი ხელს შემოჰკრა, თითქოს ტაშსა სცემსო:

— ჰო, ჰო, ჰო! რა ფრთები გამოისხეს ჩვენმა არწივებმა! აჭამეს ხომ მაგათაც სუსებმა ჯაბუნაკი! აი ჯელეკი,—გასძახა მან რეკრუტებს,—ეგ არის ნამდვილი პრუსიული ნაბიჯი!

დამცველ რაზმელების კვალზე ავტოკოლონა მოდიოდა: ტრაქტორები კოშკურა მოგლეჯილ ტანკებს მოათრევდნენ. ზეკით და ქვეკით, სანამდისაც კი თვალი გასწვდებოდა, დასავლეთისკენ მიედინებოდნენ ქვეითი ნაწილები, არტილერია. გარბოდნენ მეავტომატები, მოტოციკლისტები. ამ ნიაღვარმა გაიტაცა ჰანსი, ოტტო, ვალტერი და რეკრუტების გუნდი. ცეცხლის ზვირთი კვალდაკვალ მისდევდა ოტებულ ჯარს. ახლა როგორღაც ირიბად გადადიოდნენ მათ თავზე ყუმბარები.

ხმა დაირხა: გზა გადაჭრილია, ზემოდან კაზაკები მოდიანო. ყველაფერი დომხალიით აირია. შოფერები მანქანების კაბინებიდან ხტებოდნენ. ქვეითები მანქანებს შორის მიეკაფავდნენ გზას. ხელის